

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 891

ქ. ბათუმი, 05 ოქტომბერი 2016 წ

ქ. ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე 26776,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 1572,84 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე 26776,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.06.034) განხორციელდა 1572,84 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე შენობა-ნაგებობების (საწყობები) მონტაჟი (მშენებლობა), კერძოდ: 1) შენობა N02 – 97,04 კვ.მ. ფართობი; 2) შენობა N03 – 1124,41 კვ.მ. ფართობი; 3) შენობა N04 – 295,65 კვ.მ. ფართობი; 4) შენობა N05 – 55,74 კვ.მ. ფართობი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 1572,84 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე შენობა-ნაგებობები (N02; N03; N04; N05) წარმოადგენს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ქონებას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე 26776,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.06.034) განთავსებული 1572,84 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე შენობა-ნაგებობები - საწყობები (N02; N03; N04; N05).

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დაარეგისტროს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები).

3. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე).

4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლე-

ბით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი